სოფლის მეურნეობის სიახლეები - საქართველო

პრემიერ-მინისტრი: ჩვენ თითქმის სრულად შევწყვიტეთ რთველის სუბსიდირება

„ამ წელს რთველის დროს პირველად მევენახეები და მეღვინეები ფასზე შეთანხმდნენ სახელმწიფოს ჩარევის გარეშე“, განაცხადა პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სხდომაზე და დასძინა, რომ „ჩვენ თითქმის მთლიანად ვწყვეტთ სუბსიდირებას“. კვირიკაშვილის თქმით, „კახეთის მევენახეების შემოსავალმა 143 მილიონი ლარი შეადგინა, რაჭა-ლეჩხუმში და სხვა რეგიონებში კი - 5,5 მილიონი“. ღვინის ექსპორტმა 70 მილიონ ბოთლს გადააჭარბა, რაც „პრაქტიკულად უპრეცედენტოდ მაღალი მაჩვენებელია საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ“, განაცხადა მან. პრემიერმა ასევე აღნიშნა, რომ მთავრობის მიერ დაფინანსებული საერთაშორისო სამეცნიერო კვლევა შარშან დასრულდა, რომლის მიხედვითაც „მსოფლიომ აღიარა საქართველო უძველესი მეღვინეობის ქვეყნად და მევენახეობის სამშობლოდ ღვინის 8 000 წლიანი ისტორიით, რაც დადასტურებულია საერთაშორისო დონეზე“.

Sarke Information News, 27 დეკემბერი, 2017 წელი

ვენახების ინვენტარიზაცია მიმდინარეობს ახმეტის მუნიციპალიტეტში

ღვინის ეროვნული სააგენტოს განცხადებით ახმეტის მუნიციპალიტეტში (კახეთის რეგიონი) ვენახების ინვენტარიზაციის პროგრამა დასრულებულია. სააგენტო აღნიშნავს, რომ საქართველოს დღემდე არ ჰქონდა ასეთი სისტემა. სამუშაოები ჩაატარა კონტრაქტორმა კომპანიამ „რუკა მაპპინგმა“ (Map Mapping). ინვენტარიზაციის შედეგად დადგინდა, რომ ახმეტის მუნიციპალიტეტის 13 დასახლებაში ვენახების ფართობი შეადგენს 1 817 ჰექტარს და წარმოდგენილია 5 992 ნაკვეთის სახით. ღვინის ეროვნულმა სააგენტომ რაჭა-ლეჩხუმში 2014 წელს ვენახის ინვენტარიზაციის პროგრამის განხორციელება დაიწყო. 2015-2016 წლებში პროგრამა განხორციელდა თელავის და ყვარელის მუნიციპალიტეტებში (კახეთის რეგიონი). მომავალში პროგრამა განხორციელდება კახეთის (ქვეყნის მეღვინეობის მთავარი რეგიონი) დანარჩენ მუნიციპალიტეტებში.

Sarke Information News, 26 დეკემბერი, 2017 წელი

FAO-EBRD-ის ერთობლივი კვლევები: საქართველოს რძის პროდუქციის მწარმოებელმა ფერმერებმა შეიძლება გაზარდონ წარმოების ეფექტიანობა 35%-ით

გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) და EBRD-ის ერთობლივი კვლევის შესახებ FAO-ს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ საქმიანობაში მარტივი ცვლილებების განხორციელება საშუალებას მისცემს ქართველ კომერციულ ფერმერებს 35%-ით გაზარდონ ეფექტიანობა. წარმომადგენლობამ მიუთითა, რომ ეს ცვლილებები დიდ ინვესტიციებს არ საჭიროებს. კვლევის თანახმად, ქართული რძის ინდუსტრია ვითარდება მზარდი ტემპით, რაც გამოწვეულია საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებით, რძის ფერმების კარგი პირობებით, რძეზე და რძის პროდუქტებზე მაღალი მოთხოვნით. თუმცა, დარგს ჯერ კიდევ პრობლემები აქვს, კერძოდ, ტექნიკური ინოვაციების ნაკლებობა უსაფრთხო და მაღალი ხარისხის რძის პროდუქტების წარმოებისთვის, აღნიშნულია კვლევაში. წარმომადგენლობის ცნობით, FAO-მ და EBRD-მ 2016 წელს ჩაატარეს ქვეყნის მასშტაბით გადამზადების პროგრამა და ფერმერებს გააცნეს წარმოების ახალი მეთოდები. კიდევ ერთი ერთობლივი პროექტის ფარგლებში, FAO-ს და EBRD-ს მხარდაჭერა ჰქონდა ყველის ქართული წარმომავლობის ტრადიციული სახელწოდებების შემოღებას, განაცხადეს წარმომადგენლობაში. მათი ცნობით, სექტორის განვითარების ერთ-ერთი საშუალებაა საქართველოს რძის მწარმოებელთა ასოციაციის შესაძლებლობების გაზრდა.

Sarke Information News, 25 დეკემბერი, 2017 წელი

EUGEORGIA.INFO: „ევროკავშირის მიერ აღიარებული შემდეგი ცხოველური წარმოშობის პროდუქტი საქართველოში იქნება აკვაკულტურა“

ცხოველური წარმოშობის მეხუთე ქართული პროდუქტი, რომელსაც ევროკავშირში ექსპორტზე გატანის უფლებას მისცემენ, იქნება აკვაკულტურა (თევზი, მოლუსკები და ზღვის მცენარეები), იუწყება Eugeorgia.Info სოფლის მეურნეობის სამინისტროზე მითითებით. თუმცა, ქართველი ბიზნესმენები ადგილობრივ ბაზარზე მოთხოვნასაც კი ვერ აკმაყოფილებენ. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გაანგარიშების თანახმად, საქართველოს ყოველწლიურად 53 000 ტ თევზი სჭირდება, მაგრამ სოფლის მეურნეობის სამინისტრო იუწყება, რომ რეალური მოხმარება შეადგენს 30 000 ტონას, საიდანაც ადგილობრივი წარმოება მაქსიმუმ 5 ტონაა. „იმპორტირებული თევზის მოცულობა ძალიან დიდია. ეს ფაქტი პრობლემაა კვების უსაფრთხოების კუთხით. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეციალისტის არჩილ ფარცვანიას განცხადებით, ჩვენ მინიმუმ 50%-ს უნდა ვაწარმოებდეთ. სამინისტროში არსებობს აკვაკულტურის ექსპორტის უფლების მოპოვების სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვით რეგულაციების მიღების ვადაა 2022 წელი. ჯერ-ჯერობით, საქართველომ შეიძლება გაიტანოს ევროკავშირში ცხოველური წარმოშობის ორი არასასურსათო (ტყავი, მატყლი) და ორი საკვები პროდუქტი (თაფლი, ლორი.)

Sarke Information News, 21 დეკემბერი, 2017 წელი

პროექტის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში ტექნიკით აღიჭურვება თხილის პლანტაცია ბოლნისში

სოფლის მეურნეობის სამინისტროში განაცხადეს, რომ პროექტის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში შპს „დეველპლუსმა“ ბოლნისში (ქვემო ქართლის რეგიონი) 5 ჰექტარზე თხილის ბაღი გააშენა. როგორც სამინისტროში აღნიშნეს, კომპანია 2016 წელს შეუერთდა პროექტს და სარწყავი სისტემის და ბაღის მოწყობისთვის 42 146 ლარის სახელმწიფო დაფინანსება მიიღო. შპს „დეველპლუსი“ 2005 წელს დაარსდა. მისი მფლობელები არიან დავით ხმელიძე და ვალერი კაპანაძე (50% თითოეული). სამინისტროში აღნიშნეს, რომ პროექტის „დანერგე მომავლის“ ფარგლებში ქვემო ქართლის ხეხილის ბაღები 544 ჰა-ზე დაირგო, ხოლო ახალი ბაღების ფართობი 3 758 ჰექტარს შეადგენს. სახელმწიფო დაფინანსება შეადგენს სულ 18,89 მილიონ ლარს.

Sarke Information News, 19 დეკემბერი, 2017 წელი

პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში კომპანიამ „ჩირინა“ გააფართოვა მარცვლეულის საშრობი და სასაწყობე კომპლექსი

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით სოფელ სართიჭალაში სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში კომპანია „ჩირინამ“ გააფართოვა მარცვლეულის საშრობი და სასაწყობე კომპლექსი. სამინისტრომ აღნიშნა, რომ კომპლექსი აშენდა და აღიჭურვა British company Chief Industries, UK-ის მიერ. გაფართოების შედეგად საწარმოს შეუძლია 60 ტონა ნედლეულის გადამუშავება, განაცხადეს სამინისტროში. სამინისტროს განცხადებით, განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა შეადგენს 6 მილიონ ლარს, მათ შორის არის სახელმწიფო თანადაფინანსება 5 მილიონი ლარის შეღავათიანი სესხის სახით.

Sarke Information News, 18 დეკემბერი, 2017 წელი

შპს „წეროვანი აისი“ დაარსდა გაერთიანებული აგროპროექტის ფარგლებში

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთობლივი აგროპროექტის ფარგლებში შპს „წეროვანი აისი“ (სოფლის მეურნეობის პროდუქციის შენახვა) გაიხსნა. სამინისტროს განცხადებით, საწარმოში 520 670 აშშ დოლარი ჩაიდო, მათ შორის 208 268 აშშ დოლარის გრანტი და 260 335 აშშ დოლარი შეღავათიანი აგროკრედიტი. კომპანიის სათავსოებში ერთდროულად 300 ტონა ბოსტნეულის შენახვის შესაძლებლობაა, განაცხადეს სამინისტროში. საწარმოში დასაქმებულია 10 ადამიანი. სამინისტროს ინფორმაციით, კომპანია გეგმავს 2018 წელს საერთაშორისო

სტანდარტის HACCP დანერგვას, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს და USAID/REAP-ის დახმარებით. ამასთან, HACCP-ის ხარჯების 30% დაფინანსდება სააგენტოს მიერ, 50% - USAID/REAP-ის მიერ, ხოლო დარჩენილი 20% - ბენეფიციარის მიერ. შპს „წეროვანი აისი“ დაარსდა 2016 წელს წეროვანში (მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მცხეთის მუნიციპალიტეტი). მისი მფლობელები არიან კობა გრიგალაშვილი და თამაზ დგებუაძე (50% - თითოეული).
Sarke Information News, 18 დეკემბერი, 2017 წელი

სოფლის მეურნეობის სამინისტრო: ჩინეთთან თანამშრომლობით მალე დაიწყება სასათბურე მეურნეობების პროექტის მეორე ეტაპი
სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განაცხადა, რომ ჩინეთთან თანამშრომლობის ფარგლებში უახლოეს მომავალში დაიწყება დასავლეთ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ფერმების განვითარების მეორე ფაზა. როგორც სამინისტროში აცხადებენ, სათბურები განთავსდება იმერეთის რეგიონის სოფლის მეურნეობის კვლევის ცენტრის ექსპერიმენტულ ბაზაზე. მინისტრის მოადგილის ლევან დავითაშვილის განცხადებით, მე-2 ეტაპი გულისხმობს ფერმერებისთვის დახმარების გაცემას უშუალოდ იმისათვის, რომ მათ ჩადონ ინვესტიციები და მოაწყონ სათბურები სხვადასხვა ადგილას. შეგახსენებთ, რომ 2015 წელს საქართველოს და ჩინეთს შორის ხელშეკრულება გაფორმდა სათბურების მეურნეობების განვითარებაზე. პირველი 2-წლიანი ეტაპი მოიცავდა მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ შულავერში აშენებულ სადემონსტრაციო სასათბურე კომპლექსში ჩატარებულ კვლევებსა და ექსპერიმენტებს. სამინისტროს მითითებით, ცენტრის კუთვნილ 5 ჰექტარ ფართობზე აშენდა სამეცნიერო დანიშნულების 6 დიდი და 27 მცირე სათბური. დავითაშვილის განცხადებით, ჩინეთის საგრანტო მხარდაჭერის პირველ ეტაპზე საქართველომ მიიღო „მილიონობით დახმარება, რომლის საშუალებითაც აშენდა სასათბურე მეურნეობები“.
Sarke Information News, 18 დეკემბერი, 2017 წელი

ღვინის სექტორისთვის ახალ სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობა მიმდინარეობს
სოფლის მეურნეობის სამინისტროში განაცხადეს, რომ მიმდინარეობს ღვინის სექტორის ახალ სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობა. გეგმა ასევე ითვალისწინებს ღვინის ეროვნული სააგენტოს რეფორმირებას. სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა განაცხადა, რომ „ამ პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია იმ პოზიციების გათვალისწინება, რომელიც კერძო სექტორს აქვს, რის გამოც სამუშაო პროცესი უკვე წელიწადზე მეტია მიმდინარეობს“. ღვინის სექტორის ინსტიტუციური რეფორმის პროექტი გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მხარდაჭერით ხორციელდება.
Sarke Information News, 15 დეკემბერი, 2017 წელი

სოფლის მეურნეობის სიახლეები - სომხეთი

სომხეთში ვენახის კადასტრი შეიქმნება
მომავალი წლის დასაწყისიდან სომხეთის სოფლის მეურნეობის სამინისტრო ვენახების კადასტრის შექმნას დაიწყებს, განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ რობერტ მაკარიანმა დღეს. „კადასტრის შექმნა შესაძლებელს გახდის იმის დადგენას, თუ რომელი ყურძნის ჯიშები არის გავრცელებული ქვეყანაში, რომელი ენდემური ჯიშებია და რა სახის პროექტები უნდა განვახორციელოთ, რომ დავეხმაროთ მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებას“, - განუცხადა მაკარიანმა ჟურნალისტებს. მინისტრის მოადგილემ ასევე აღნიშნა, რომ ეს სრულად დაარეგულირებს ურთიერთობებს გადამამუშავებელ საწარმოებსა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს შორის. მისი თქმით, ეს სამუშაოები 2016 წელს დაფუძნებული სომხეთის მევენახეობის და მეღვინეობის ფონდის მხარდაჭერით განხორციელდება. სომხეთის მთავრობამ მევენახეობა ეკონომიკის პრიორიტეტად გამოაცხადა. სომხეთის მევენახეობის და მეღვინეობის

ფონდი ახორციელებს მევენახეობის ხელშეწყობას, საერთაშორისო ორგანიზაციაში ქვეყნის მეღვინეობის რეიტინგის და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, ექსპორტის ზრდას და სომხეთის, როგორც მეღვინეობის ქვეყნის მიმზიდველობის, პოპულარიზაციას.
arka.am, 25 დეკემბერი, 2017 წელი

მთავრობა ინტენსიური მებაღეობისთვის სესხების სუბსიდირებას მოახდენს
სომხეთის მთავრობამ დღეს დაამტკიცა საპილოტე პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს ინტენსიური მებაღეობით დაკავებული ფერმერებისთვის გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთების სუბსიდირებას. მთავრობამ განაცხადა, რომ 2018 წლიდან 2024 წლამდე სესხების, რომლებიც უნდა შეადგენდეს მთლიანობაში 4,4 მილიარდ დრამს (9,2 მლნ დოლარს), სუბსიდირებისთვის 1,7 მლრდ დრამის (3,5 მლნ დოლარის) გამოყოფას. სესხების გაცემა მოხდება შვიდი წლის დაფარვის პერიოდით 14%-იანი წლიური განაკვეთით. მთავრობის სუბსიდირების გამო რეალური განაკვეთი 5% იქნება. მთავრობის განცხადებით, 2016 წელს სომხეთში ბაღები 40,5 ათასი ჰექტარი იყო. მთავრობა აცხადებს, რომ საპილოტე პროგრამის განხორციელების შედეგად ინტენსიური მებაღეობის ტერიტორია 200 ჰექტარით გაიზრდება. ინტენსიური მებაღეობა არის მებაღეობის ისეთი მეთოდი, როდესაც ადამიანები მუშაობენ ბუნებასთან, რათა ხელი შეუწყონ ჯანსაღი, ძლიერი მცენარეების ზრდას მცირე ზომის ნაკვეთებზე და ნაკლები წყლით, ვიდრე ტრადიციული მებაღეობის შემთხვევაში.
arka.am, 21 დეკემბერი, 2017 წელი

სომეხი ექსპერტი ასახელებს სექტორებს, რომლებშიც შეიძლება ორნიშნა ზრდის უზრუნველყოფა
სოფლის მეურნეობა ერთ-ერთი სექტორია, რომელსაც სომხეთის ეკონომიკური ზრდის ლოკომოტივის პოტენციალი გააჩნია, განაცხადა დამსაქმებელთა ეროვნული კავშირის ხელმძღვანელმა გაგიკ მაკარიანმა დღეს გამართულ პრეს-კონფერენციაზე. მან ასევე აღნიშნა, რომ ეს არის ერთ-ერთი სექტორი, რომელიც მომავალში ხელს შეუწყობს ეკონომიკის ორნიშნა ზრდას. მისი სიტყვებით, ინვესტორები, მათ შორის სპარსეთის ყურის ქვეყნებიდან, სომხეთში სათბურების და ინტენსიური ბაღების შექმნისადმი მზარდ ინტერესს ავლენენ და ამ საინვესტიციო პროგრამების ნაწილი უკვე მიმდინარეობს. ადგილობრივი მეწარმეები აქტიურად არიან ჩართული ამ კუთხით. მისი თქმით, სოფლის მეურნეობაში ინვესტიციები მნიშვნელოვნად გაზრდის ადგილობრივ პროდუქციას, ასევე გაზრდის ექსპორტს და განავითარებს გადამამუშავებელ მრეწველობას. ტურიზმი მეორე სექტორია, რომელსაც შეუძლია შექმნას უზარმაზარი მზარდი ეფექტი მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების და ინფრასტრუქტურის განვითარების ხარჯზე. ასევეა სანფორმაციო ტექნოლოგიები და საინჟინრო დარგები, რომლებმაც ასევე შეიძლება ხელი შეუწყოს ეკონომიკურ განვითარებას. ექსპორტის თვალსაზრისით ეს ორი დარგი უკვე ეჯიბრება სამთო მრეწველობას. მაკარიანმა აღნიშნა, რომ მთავრობის მხარდაჭერით ინვესტიციების ჩადება განავითარებს ტექსტილის და მომიჯნავე დარგებს, შექმნის ბევრ ახალ სამუშაო ადგილს და მნიშვნელოვნად შეამცირებს სიღარიბის დონეს. მან განაცხადა, რომ ამ მიზნით საჭირო იქნება ინვესტორებისთვის შესაბამისი პრივილეგიების და საგადასახადო შეღავათების გათვალისწინება. „ამ ოთხი სექტორის განვითარებას შეუძლია უზრუნველყოს ორნიშნა ეკონომიკური ზრდა, ასევე სიღარიბის დაძლევა და დასაქმების გაზრდა“, - განაცხადა მაკარიანმა.
arka.am, 18 დეკემბერი, 2017 წელი

„ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების“ 2017-2018 წლების პროგრამის გამარჯვებულები დასახელებულია
ერევანში მოქმედი ACBA-CREDIT AGRICOLE BANK-მა (სასოფლო-სამეურნეო ბანკი ACBA-კრედიტი) და Nature and Biodiversity Conservation Union (NABU)-მ (ბუნების ბიომრავალ-ფეროვნების კონსერვაციის კავშირი), ერთ-ერთმა უძველესმა და უდიდესმა გარემოსდაცვითმა ასოციაციამ გერმანიაში, შეაჯამეს ერთობლივად განხორციელებული „ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების“ 2017-2018 პროგრამა - კონკურსის შედეგები. კონკურსის შედეგების

განსაზღვრისას პრიორიტეტი მიენიჭა იმ მეწარმეებს, რომლებსაც სერტიფიცირების შემთხვევაში ექნებოდათ საკუთარი პროდუქციის ექსპორტისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობა. სასაზღვრო თემებში ფუნქციონირება ასევე მნიშვნელოვანი იყო გამარჯვებულების განსაზღვრის დროს, ვკითხულობთ ACBA-CREDIT AGRICOLE BANK-ის პრეს-რელიზში. თხუთმეტი კომპანია 70-დან, რომლებმაც პროგრამაში მიიღეს მონაწილეობა, გამარჯვებული გახდა. ყოველწლიური საკონკურსო პროგრამა „ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარება“ 2015 წლიდან ხორციელდება. ამ პროგრამის ფარგლებში 30 მეწარმემ მიიღო ორგანული სერტიფიცირება. გერმანიის სპეციალისტების მხარდაჭერით პროექტის ბენეფიციარები ყოველწლიურად გადიან ტრეინინგებს. კონკურსში გამარჯვების და ბიო-წარმოებაში ჩართვის შედეგად 50-ზე მეტი ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა. 2017-2018 წლებში დაგეგმილია 70 ახალი სამუშაო ადგილის შექმნა. ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა ხორციელდება ACBA-CREDIT AGRICOLE Bank-ის კლიენტებისთვის. გამარჯვებულები არიან: „დარმან თია“, „ორვაკო“, „ნაირიანი“, ლუკაშინის სასოფლო-სამეურნეო ასოციაცია, „აგროლოგის“ ინდუსტრიული კოოპერატივი, მეწარმეები - არმენ ჰოვანისიანი, იშხან ასლანიანი, ალექსან ჰოვანისიანი, „ახალი ედესიას“ ფერმერთა ჯგუფი, „არმბერი“, „გოუ გრინ არმენია“, შპს "არ შამანი", ასევე ფერმერები აშოტ ქალაშიანი (სიუნიკი), გეგაირ ზურნაჩიანი (ტავუში) და ხაჩატურ გევორგიანი (სიუნიკი).
arka.am, 15 დეკემბერი, 2017 წელი

პუბლიკაციები და სხვა

Business & Finance Consulting (BFC)-ის საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური ბიულეტენი, 2017 წლის დეკემბრის #64 გამოცემა
საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური ბიულეტენი წარმოადგენს რეგულარულ სიახლეებს ინვესტიციების და ფინანსური ნაკადების შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობაში. გამოცემას გაეცანით ამ ბმულზე:
http://agrogeorgia.blog.com/

ევროკავშირ/საქართველოს სავაჭრო ბიულეტენი
ევროკავშირი/საქართველოს სავაჭრო ბიულეტენის ბოლო გამოცემა ხელმისაწვდომია. იხილეთ ამ ბმულზე:
http: eeas.europa.eu/delegations/georgia/.

ENPARD: ახალი ამბები სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამიდან
სიახლეები იხ. ამ ბმულზე: **www.enpard.ge**

DWV & AGRICULTURE
თუ ეძებთ ინფორმაციას იმ კომპანიების შესახებ, რომლებიც საქმიანობენ სოფლის მეურნეობის და კვების დარგებში.
იხილეთ ცნობები და ჩვენი წევრების საკონტაქტო მონაცემები ამ ბმულზე:
www.dwvg.ge

Agro & Food Up-to-Date
Agro & Food-ის ყოველდღიურად განახლებადი ინფორმაცია იხილეთ ჩვენს ვებსაიტზე: http://georgien.ahk.de/georgien/newsletter/agro-food-news-georgia/.